ბიულეტენი

ბუნებაზეობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№4 (22) აპრილი 2009 წელი

„ხოვრაფლის“ წმიდა გიორგის ხატის ასლი

„ზეკუნაფარი“ ეწილა კეთილი წყალი აღლილი ჩასეთესრეკა

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამწყსოს

ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო, ქრისტეს აღდგომის მადლით, სიხარულით და სიყვარულით აღვსილი მოგილოცავთ და გახარებთ კაცთა მოდგმის უდიადეს გამარჯვებას,

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგა ქრისტე და შეიმუსრნენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი. იქ, სადაც სუფევს მადლი ქრისტესი, ბოროტება უძლურია.

მოიპოვეთ მადლი სულისა წმიდისა და თქვენს გარშემო ათასები ცხონდებიან -გვასწავლის ეკლესია.

მაშ, მოვედით საყვარელნო ძმანო და დანო, ვიხმიოთ სასუმელი ახალი და აღვივსოთ სიხარულითა დაულევნელითა, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი

„ზოგრაფის“ წმიდა გიორგის ხატი

2009 წლის 3 თებერვალს ათონის ზოგრაფის მონასტრის წმიდა გიორგის სასწაულთმოქმედი ხატის ასლი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით აფხაზეთის სასულიერო და საერო პირებმა ათონის მთიდან ჩამოაბრძანეს. დელეგაციის შემადგენლობაში ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია იყვნენ. ხატის ასლი ათონის ზოგრაფის მონასტერში დაიწერა. პატრიარქმა თხოვნით მიმართა ტაძრის საძმოს და ერთიანი გადაწყვეტილებით სამების ტაძრისთვის წმიდა გიორგის გამოსახულება ბულგარელმა ხატმწერმა შექმნა. ეს პირველი ასლია შექმნილი საგანგებოდ საქართველოსათვის, როგორც ამ წმინდანის სამფარველო ქვეყნისათვის.

მეუფე დანიელი:

- ჩვენ ყველა ვლოცულობთ საქართველოს ერთიანობისათვის. რასაკვირველია, დღეს წმიდა გიორგის ხატის ჩამობრძანება ნიშნავს წმიდა გიორგის თანადგომას საქართველოსადმი, მის გაძლიერებას, და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ ხატის ჩამობრძანება ხელს შეუწყობს საქართველოს სამშვიდობო გზაზე გამოსვლას, მისი გამთლიანების პროცესის წარმართვას სასიკეთოდ და მშვიდობის დამყარებას საქართველოში.

მალხაზ აკიშბაია, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე:

- საქართველო ვერ იქნება ძლიერი, თუ ჩვენ ვერ დავიბრუნებთ იურისდიქციას აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, შესაბამისად, სიმბოლურია, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის სასულიერო და საერო ხელმძღვანელობამ. დარწმუნებული ვარ, რომ წმიდა გიორგი მოუტანს ქართველ ერს მშვიდობას, ერთიანობას, ერთსულოვნებას, რაც აუცილებელია იმ დიდ საქმეებში გამარჯვების მისაღწევად, რომელიც ჩვენ გველოდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

საქართველოში ათონიდან ჩამობრძანებული ხატი წმიდა გიორგის ხატის ზუსტი ასლია და მასზე მუშაობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. წმიდა გიორგის მსწრაფლშემწე ხატი სამების საკათედრო ტაძარში დააბრძანეს.

„ზოგრაფის“ წმიდა გიორგის ხატის ისტორიიდან

ბერძენი იმპერატორის ლევ ბრძენის მეფობის ჟამს, 919 წელს, სამმა ძმამ — მოსემ, აარონმა და ბასილიმ მიიღეს მონაზვნობა და დამკვიდრდნენ ათონის მთაზე. ძმებმა მცირე ზომის ეკლესია ააშენეს, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, რომელი წმინდანის სახელი ეწოდებინათ მისთვის და ვისი ხატი დაეწერათ მომზადებულ დაფაზე. მათ გადაწყვიტეს ეთხოვათ ღვთისათვის, რომ განეცხადებინა მისი ყოვლადწმიდა ნება და განმარტოვდნენ სენაკებში სალოცავად. შუაღამისას ღმრთეებრივმა ნათელმა მოიცვა ტაძარი და გარემო მიდამოს მოეფინა. დილით კი ტაძარში შესულებს საოცარი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: დაფაზე დაწერილი იყო წმინდა გიორგის ხატი. სწორედ მისგან მოდიოდა ღამით ზეციური ნათელი და განაბრწყინებდა მათ სამყოფელს, რომელსაც, ამ ხატის მიხედვით, დაერქვა „ზოგრაფის“ (ფერმწერის) მონასტერი.

სწორედ ამ დროს, პალესტინაში, ფანუელის მონასტერში, წმინდა გიორგის ხატი საძმოს თვალწინ თავისით მოსცილდა დაფას და გაუჩინარდა. შეძრწუნებული ბერები ევედრებოდნენ უფალს, რათა გაემხილა, თუ სად გაუჩინარდა მათი მფარველის საკვირველთმოქმედი ხატი. ღმერთმა შეისმინა მათი ლოცვა და თვით წმინდა გიორგი მოუვლინა იღუმენს სანუგეშოდ. „ნუ სწუხართ ჩემზე, მე ვპოვე ჩემთვის ტაძარი ღმრთის დედის წილხვედრ მხარეში, ათონზე. თუ გნებავთ, თქვენც მიაშურეთ იმ მხარეს; რამეთუ ღმრთის რისხვა მზად არის თავს დაატყდეს გარყვნილ პალესტინას!“ სანამ ღმრთის სამართლიანი რისხვა ბარბაროსების სახით თავს დაატყდებოდა იმ მხარეს, ბერები გაემგზავრნენ იღუმენთან ერთად წმინდა მთაზე, სადაც ერთ-ერთ სავანეში აღმოაჩინეს მათგან განშორებული ხატი წმიდა გიორგისა და აღარ ისურვეს ხატთან განშორება. იმ დროიდან დიდმოწამის ხატი დაუსრულებელ სასწაულთა წყაროდ შეიქმნა, რომლის თაყვანისსაცემად „ზოგრაფში“ აურაცხელმა ხალხმა იწყო დენა.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ამ ხატზე აღსრულებული ერთი სასწაული. ერთ-ერთი ეპარქიის ეპისკოპოსმა (გადმოცემით ვოდინისა), რომელმაც იცოდა წმინდა გიორგის ხატის მიერ აღსრულებული სასწაულები, მოინდომა შეემოწმებინა მათი ჭეშმარიტება და ამ მიზნით ათონს გაემგზავრა. მან, ნაცვლად იმისა, რომ თავმდაბლად მიახლებოდა ხატს თაყვანისსაცემად, კადნიერად იკითხა: „ეს არის განა თქვენი საკვირველთმოქმედი ხატი?“ და საჩვენებელი თითი შეახო დიდმოწამის ლოყას... ღმრთის რისხვამ არ დააყოვნა; წმიდა გიორგიმ სასტიკად დასაჯა ეპისკოპოსი, მისი თითი ხატს შეეზარდა. ამაოდ ცდილობდა თავზარდაცემული და განცვიფრებული მღვდელმთავარი მის მოგლეჯას ხატიდან. უბედური იძულებული გახდა დაეთმინა მტანჯველი ოპერაცია; მას თითი მოაჭრეს (თითის წვერი დღემდე ხატზე იმყოფება). ამგვარად დარწმუნდა ეპისკოპოსი წმინდა დიდმოწამე გიორგის ხატის ჭეშმარიტ საკვირველთმოქმედებაში.

ჟიული შარტავა – 65

ჟიული შარტავა — საქართველოს ეროვნული გმირი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე დაიბადა სენაკში, პედაგოგების, კალისტრატე და ნინო (ფენია) შარტავების ოჯახში. ოქროს მედალზე დაამთავრა სენაკის მეორე საჯარო სკოლა, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. სკოლის დამთავრების შემდეგ ფიზიკის პედაგოგის რჩევით ჩააბარა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. დაამთავრა ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. უწინასწარმეტყველებდნენ სამეცნიერო კარიერას, მაგრამ ინსტიტუტში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მისი ორგანიზატორული ნიჭი და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის მდივნად აირჩიეს. ამავე პერიოდში მუშაობდა სანეპიდსადგურში მუშად, შემდეგ იყო თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ ამწყობი.

საოცარი სისწრაფით წარიმართა მისი პოლიტიკური კარიერა: 1973 წლიდან იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, შემდეგ პირველი მდივანი. მას ახასიათებდნენ, როგორც პატიოსან, საქმისადმი ერთგულებით გამორჩეულ, გულწრფელ და ამავე დროს დიდი ავტორიტეტის მქონე ადამიანს. ამ თანამდებობაზე მან 8 წელი იმუშავა და ბევრი ნოვატორული წამოწყება ბოლომდე მიიყვანა. მისი თაოსნობით შეიქმნა შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრი, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, დიდ ყურადღებას აქცევდა სპორტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. გამოირჩეოდა სამართლიანობის გრძნობით, თუმცა სიმართლე მაშინ არცთუ ადვილი სათქმელი იყო: „სულ სხვა გზა მქონდა არჩეული, ვფიქრობდი, სპეციალობაში ჩემს სიტყვას ვიტყოდი, სინამდვილეში კი ხშირად ბევრი ისეთი რამის მტკიცება მიხდება, რომელიც ჩემს შინაგან მრწამსს ეწინააღმდეგება. განა ადვილი ასატანია ამდენი ჯიჯღინი, ჩხუბი და კამათი ჩემი მხრიდან, რა გამიძლებს მე ასე დიდხანს, მითუმეტეს, თუ ცხოვრება სიბერემდე დამცალდა,“ — ამბობდა ჟიული შარტავა, თუმცა სხვაგვარად არ შეეძლო... მისი ნიჭი და უნარი, აღმშენებლური ენერგია და სულიერი სიმტკიცე გამორჩეულად გამოვლინდა კომკავშირული ქალაქის მშენებლობის პერიოდში. საქართველოს მინისტრთა საბჭომ ამ მიზნით გამოყო თელეთის საექსპოზიციო სახლი და მისი მიმდებარე ტერიტორია 12 ჰექტარი, აუთვისებელი და ხრიოკი მინდვრები, სადაც უნდა დაარსებულიყო კომკავშირული სკოლა. როცა ჟიულიმ თელეთში გამოყოფილი შენობა და მისი ტერიტორია დაათვალიერა, გადაწყვიტა ახალგაზრდული კომპლექსის ეტაპობრივი მშენებლობის პროგრამა შეექმნა. კომკავშირულ ქალაქს მთელი საქართველოს ახალგაზრდობა აშენებდა. ეს პროექტი საკავშირო კომკავშირის პრემიით დაჯილდოვდა. ჟიული შარტავა ამბობდა, რომ ჯილდო საქართველოს მთელ ახალგაზრდობას ეკუთვნოდა.

1978 წელს საბჭოთა საქართველოში ახალი კონსტიტუცია უნდა მიეღოთ. ამ კონსტიტუციის 75-ე მუხლი ითვალისწინებდა ქართული ენის შეზღუდვას. წინასწარი განხილვის დროს, სტუდენტები ჟიული შარტავას პოზიციით დაინტერესდნენ: „ნუ გგონიათ, რომ თქვენზე ნაკლებად ვიცით ხალხისათვის თავგანწირვა... ჩვენს ყოფნას ამ თანამდებობებზე რა ფასი აქვს, ბუნებრივია, თქვენს გვერდით ვიქნებით“ - ასეთი იყო მისი პასუხი. 14 აპრილს 75-ე მუხლი კონსტიტუციიდან ამოიღეს, შემდგომში კი ეს დღე „ქართული ენის დღედ“ გამოცხადდა.

1980 წლიდან ჟიული შარტავა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. ამ პერიოდში მისი თაოსნობით დაწესდა „ხსოვნის დღე“, რომელიც დღესაც აღინიშნება. დაიწყო პიონერული ქალაქის „მზიურის“ მშენებლობა, მაგრამ 1985 წელს საქართველოში ხელისუფლების ცვლილებამ (ედუარდ შევარდნაძე შეცვალა ჯუმბერ პატიაშვილმა), გამოიწვია მისი გადასვლა ქალაქ რუსთავში. ხელისუფლებამ ჟიული შარტავას წინააღმდეგ დაიწყო ყოვლად გაუმართლებელი კამპანია — დაჩქარდა მისი წასვლა ჯერ რუსთავიდან, შემდეგ კი რესპუბლიკიდან. არც ამ დროს დაუკარგავს მხნეობა. ერთ წელიწადში დაამთავრა მოსკოვის დიპლომატიური აკადემია. 1990 წელს საქართველოში დაბრუნდა. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო იბრძვის დამოუკიდებლობისათვის. ჟიული შარტავა კვლავ ცილისწამების მსხვერპლი ხდება, მის წინააღმდეგ ვრცელდება პროკლამაცია: „ჟიული შარტავა ჩამოსულია თბილისში და ეწევა დიდ მუშაობას, რათა თავისი მომხრეების საშუალებით მიაღწიოს საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის პოსტს და კრემლს ჰპირდება საქართველოში ეროვნული მოძრაობის ჩახშობას.“ მართალია, ერთხანს საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ ზეწოლის გამო დატოვა სამსახური. უმუშევრობის პერიოდში მან დაწერა და დაიცვა დისერტაცია. 1992 წელს რუსთაველთა თხოვნით, ჟიული შარტავამ კენჭი იყარა ახალი მოწვევის პარლამენტში და ხმათა 90 % მიიღო. 1993 წლის 18 ივლისს იგი ინიშნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. აფხაზეთის ომის დროს არ დატოვა სოხუმი, ბოლომდე იცავდა მას სეპარატისტებისაგან. 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ჟიული შარტავა დახვრიტეს...

რამდენიმე დღით ადრე სატელეფონო საუბარში თავისი განცდები მეგობარს გაუზიარა: „ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი.“ მოლაპარაკების შემდეგ მისი ცხედარი ქართულ მხარეს გადაეცა. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე. მინიჭებული აქვს „დიდგორისა“ და „ვახტანგ გორგასლის“ პირველი ხარისხის ორდენები, 2004 წელს კი ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

9 მარტს, ვაკის სასაფლაოზე, აფხაზეთის მთავრობამ და აფხაზეთიდან დევნილმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა საქართველოს ეროვნული გმირი, 1993 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ჟიული შარტავა, რომელსაც წელს 9 მარტს 65 წელი შეუსრულდებოდა. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა მეუფე დანიელმა ჟიული შარტავას სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

12 მარტს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით, ჟიული შარტავას 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით ხსოვნის საღამო გაიმართა. საღამოს, რომელიც დადგა საქართველოს სახალხო არტისტმა გიორგი ქავთარაძემ და მიჰყავდათ გიორგი ქავთარაძესა და საქართველოს სახალხო არტისტ დიმიტრი ჯაიანს, დაესწრო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი).

ბედრჟიხ მუსიკის ბედნიერ

კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის ბედრჟიხ სმეტანას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საუბარი „სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ ჩეხეთის ისტორიის ტრაგიკული თარიღით -1620 წელს თეთრ მთასთან ბრძოლაში დამარცხებით (რასაც შედეგად ჩეხეთის სახელმწიფოებრიობის დაკარგვა და ავსტრიელთა ძალაუფლების ქვეშ მოქცევა მოჰყვა) დაიწყო.

300 წელი გრძელდებოდა ქვეყნის მძიმე მდგომარეობა. ჩეხეთის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე იძულებული გახდა მიეტოვებინა მშობლიური ქვეყანა და მოღვაწეობა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაეგრძელებინა. ისინი დიდ როლს ასრულებდნენ ევროპის კულტურის, განსაკუთრებით მუსიკალური ხელოვნების, განვითარების საქმეში. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი სახელები, როგორიცაა მისლივეჩეკი — ჩეხ მოცარტად რომ იქნა წოდებული, ან სტამიცი — მეთაური მანჰეიმის მუსიკალური სკოლისა (ვენის კლასიკური სკოლის წინამორბედი, რომელიც იყო წარმოდგენილი ჰაიდნის, მოცარტისა და ბეთჰოვენის სახელებით). ქვეყნის შიგნითაც გრძელდებოდა სულიერი ცხოვრება. ყველაფერი ხელს უწყობდა გენიოსის მოვლინებას, რომელიც შეძლებდა შეექმნა შემოქმედება – ორგანული ნაზავი ფოლკლორის, ხალხური-საყოფაცხოვრებო საწყისის, ამაღლებულ-პოეტური იდეურობის და რეალიზმისა. ასეთი გენიოსი გახდა ბედრჟიხ სმეტანა.

სმეტანა დაიბადა პატარა ქალაქ ლიტომიშლეში. იგი ადრევე გაეცნო ხალხურ შემოქმედებას და 4 წლისამ დაიწყო მეცადინეობა მუსიკაში. ერთი წლის შემდეგ უკვე უკრავდა ჰაიდნის კვარტეტებში, 6 წლიდან გამოდიოდა, როგორც პიანისტი. 24 წლის სმეტანა უკვე სრულად ფლობს საკომპოზიტორო ტექნიკას. ახალგაზრდობის წლებში განიცდის შუმანის, მენდელსონის, და განსაკუთრებით, შოპენის გავლენას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ის წერდა: „როცა გავეცანი და ჩავწვდი მის ნაწარმოებებს, ჩემთვის ნათლად გამოიკვეთა მომავალი შემოქმედებითი ამოცანები.“

საინტერესოა, თუ როგორ აფასებს სმეტანას ახალგაზრდულ ნაწარმოებებს ფერენც ლისტი: „თქვენს პიესებს მივიჩნევ საუკეთესოდ მათ შორის, რომლებსაც კი ბოლო დროს გავეცანი.“

1848 წლის რევოლუციამ სმეტანა რევოლუციურ -პატრიოტული სახეების სამყაროში შეიყვანა. ის ქმნის ფორტეპიანოსათვის „ორ რევოლუციურ მარშს“, გუნდისა და ფორტეპიანოსათვის „თავისუფლების სიმღერას“ და სხვ. ეს თემები ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოიხატა მის „საზეიმო სიმფონიაში“ (1853 წ).

გიოტებორგში (შვეცია) ცხოვრების წლებში სმეტანას მსოფლმხედველობაში გარდატეხა შეიმჩნევა, იზრდება მისი ოსტატობა, მყარდება ეროვნული იდეები, სამშობლოს განშორებით გამოწვეული სევდა ეხმარება მას უფრო ღრმად შეიგრძნოს თავისი მოწოდება, როგორც ეროვნული ხელოვანისა.

1861 წელს სმეტანა ბრუნდება პრაღაში, რომელიც შემდეგ აღარასოდეს დაუტოვებია. იწყება მისი მრავალმხრივი, ინტენსიური მოღვაწეობა. თითქმის უკვე ყრუ, ერთი მეორის მიყოლებით ქმნის ის ოპერებს, რომელთა შორის „გაყიდული საპატარძლო“ მსოფლიო საოპერო თეატრების რეპერტუარში ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს.

დაძაბული მუშაობა, არაკეთილმოსურნეთა მხრიდან დევნა სასმენი ნერვების დაავადების, ტრაგიკული სიყრუისა და სიკვდილის მიზეზი ხდება.

1884 წლის 23 აპრილს იგი გარდაიცვალა.

ხელოვნების ისტორიაში ბედრჟიხ სმეტანა შევიდა, როგორც დიდი ჩეხი ხელოვანი. უდავოა მისი წვლილი ჩეხური მუსიკის განვითარების საქმეში. ეს მისი მიმდევრების, განსაკუთრებით მისი უმცროსი თანამედროვის ანტონ დვორჟაკის შემოქმედებაში შეიგრძნობა. დვორჟაკის მუსიკამ გადალახა ჩეხეთის საზღვრები და მშობლიურ ქვეყანას ისეთივე დიდება მოუტანა, როგორც სმეტანამ.

საქართველოსთვის სმეტანას სახელი არის და მარად იქნება ძვირფასი და ახლობელი მისი გასაოცარი შემოქმედების წყალობით, აგრეთვე იმ მეგობრული კავშირების მეოხებით, რომელიც წლების მანძილზე გრძელდება საქართველოსა და ჩეხეთს შორის, დაწყებული ჯერ კიდევ იოსებ რატილიდან, რომელიც საქართველოში ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწედ არის შერაცხული.

კომპოზიტორის გარდაცვალებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრა 20 მარტს ჩატარდა. მასში „სულიერებისა და კულტურის ცენტრთან“ ერთად მონაწილეობდა ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, ჩეხური სათვისტომო „ზლატა პრაღა“ და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. საკონცერტო პროგრამა, რომელშიც ჟღერდა ჩეხურ-ქართული მუსიკა, დასრულდა ბედრჟიხ სმეტანას ცეკვებით ოპერიდან „გაყიდული საპატარძლო“ გადამუშავებული ფორტეპიანოსათვის. შესრულებული ნაწარმოების მელოდიამ საღამოზე დამსწრე ჩეხეთის სათვისტომოს ერთ-ერთ წარმომადგენელს ჩეხ ვლადისლავ დროვიცს გაახსენა ეპიზოდი თავისი ცხოვრებიდან, როცა მშობლებმა ის პირველად, 10 წლის ასაკში, ოპერის თეატრში წაიყვანეს „გაყიდული საპატარძლოს“ მოსასმენად . სწორედ თამუნა მიდელაშვილის (პედაგოგ ა. გარბერის კლასი), მიერ დაკრულმა ნაწარმოების მელოდიამ მოახდინა მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება და რათა საღამოზე მყოფ საზოგადოებას უკეთ შეეგრძნო ამ მელოდიის სურნელი, თავად იმღერა კიდეც ეს ხალხური სიმღერა ჩეხურ ენაზე.

საღამოს გამართვის გამო საქართველოში ჩეხეთის სათვისტომოს თავმჯდომარემ ჰაროლდ შმალცელმა მადლობა გადაუხადა მონაწილეებს და მსმენელთა აუდიტორიას.

მუსიკალურ-პოეტური საღამო

10 მარტს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში თავი მოიყარეს აფხაზეთიდან დევნილმა, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა დიასპორების ქალბატონებმა და მოწვეულმა მამაკაცებმა. მუსიკალურ-პოეტური საღამოთი აღნიშნეს მათ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეები.

უცხოელი და ქართველი პოეტების ქალებისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ცენტრის თავმჯდომარემ, მუსიკისმცოდნე სვეტლანა ქეცბამ და მწერალმა, თავმჯდომარის მრჩეველმა ციცინო ჯულუხიძემ. საღამოზე ცნობილმა ქართველმა პიანისტმა, საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატმა თამარ ლიჩელმა შეასრულა შოპენისა და ლისტის ნაწარმოებები; მაროს არია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“ და რახმანინოვის რომანსი „ნუ მიმღერ, ლამაზო“ — თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტმა მარინა ფარულავამ კონცერტმაისტერ ირინა ამბრიაშვილთან ერთად.

პოეზიასა და მუსიკას საღამოზე ენაცვლებოდა ქალბატონების: მედეა ამირანაშვილის, როზა კუხალაშვილის, ნატრული გეგეჭკორის, ნუნუ ბურჭულაძის, რუსუდან ქუთათელაძის, ლიუ-ყანდარელი კუანგვენის, მარია ფილინას, გერმანელთა ასოციაცია „აინუნგის“ თავმჯდომარე ჰარი აუგსტის და სხვათა გამოსვლები.

მარია ფილინა პოლონეთის საზოგადოება „პოლონიას“ ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:

— მინდა მადლობა ვუთხრა ქალბატონ სვეტლანას იმ ატმოსფეროსათვის, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა შევიგრძენით. აქ წარმოთქმული ლექსებითა თუ მუსიკალური ნაწარმოებებით ჩვენ დავივიწყეთ ის გასაჭირი და, შეიძლება ითქვას, აგრესიულობის ჩრდილი, რაც ბოლო წლების მანძილზე ჩვენი ცხოვრების თანამდევი იყო. ეს თუნდაც დღეს ქალბატონ სვეტლანას ხმის ტემბრშიც გამოიხატა. მინდა დღევანდელი დღე მივულოცო დედებს და განსაკუთრებით ქალბატონ ნუნუ ბურჭულაძეს, ვინაიდან მან აღზარდა შვილი, რომელიც არამარტო ხელოვნების, არამედ საზოგადო მოღვაწეობით ჩვენი ყველას ცხოვრების საკუთრება გახდა. მინდა გისურვოთ, რომ ვიყოთ ქალები ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

როზა კუხალაშვილი, აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის სამმართველოს უფროსი:

- ამ საღამოსათვის განსაკუთრებით მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ სვეტლანას და მთელ მის კოლექტივს. აქ ქალბატონმა მედეა ამირანაშვილმა გაიხსენა აფხაზეთი, ჩვენი დიდი ტკივილი. მინდა ვთქვა, რომ თუ დედაქალაქი და მთლიანად საქართველო არის ძალიან ტოლერანტული, ეს უფრო მკაფიოდ იყო გამოხატული აფხაზეთში, სადაც ასამდე ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა. და ყველგან - სკოლაში, სამსახურში თუ სხვაგან - ჩვენ მუდამ კომფორტულად ვგრძნობდით თავს ერთმანეთის გვერდით და ძალიან დასანანია, რომ ამ კონფლიქტს მიეცა ეროვნული შეფერილობა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. როგორც ჩანს, ჩვენმა თაობამ ვერ გამოიჩინა სიბრძნე, წინდახედულება და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ერთმა აფხაზმა მამაკაცმა, რომელსაც ომის შემდეგ ერთ-ერთ შეხვედრაზე გავესაუბრე, თქვა: „დასანანია, რაც მოხდა და ჩვენმა თაობამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ეს პრობლემა მოსაგვარებლად შთამომავლობას არ დაუტოვოს.“ უცხოელები გაოცებულები არიან ხოლმე, როდესაც ქართულ-აფხაზურ შეხვედრებზე ჩვენ გულთბილად ვხვდებით ერთმანეთს და მხოლოდ მშვიდობიან თანაცხოვრებას ვაპირებთ. დღეს აქ ბევრი ითქვა ბატონ პაატა ბურჭულაძეზე. მინდა დავამატო, რომ 3 მარტს, როდესაც „იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტი მიმდინარეობდა, დათვლა რომ შეიძლებოდეს, შემოსულ სატელეფონო ზარებში ძალიან დიდი ხვედრითი წილი ექნებოდა დევნილთა ზარებს, რომლებიც თვითონ უბინაონი არიან. მე ერთ-ერთ კომპაქტურ ჩასახლებაში ვცხოვრობ და თავად ვარ ამის მოწმე. და კიდევ ერთი: ისეთი იდეა, რაც ბატონ პაატას გაუჩნდა, ჩვენს ხელისუფლებას რომ მოსვლოდა თავში 16 წლის წინ, დარწმუნებული ვარ, დღეს საქართველოში არც ერთი უბინაო ადამიანი აღარ იქნებოდა, რადგან მოყვასის თანადგომა არა მარტო ქართველისათვის, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისათვის, ცხოვრების წესია.

„პირველად იყო სიტყვა...“

„... ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

ქართული პოეზიის მარგალიტები

ირაკლი აბაშიძე – 100

ხმა კოტიმონთან

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.
ნათესავს ათასს
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი,
მორჩა,
ყველა მოთავდა,
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ — ერთს,
შენ ვერ ვთმობ
სამარის კარად.
თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოვლის არ მთქმელო,
შენ, ვმირთა ვმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსულის მეგლო, წინ გამხედავო.
ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო.
ხან — ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის,
იბერის ენავ,
ენავ თამარის.
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს ახრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატედეს მეხი,
ყოველ მეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ უჭკნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ ვთმობ
სამარის პირთან.

საეკლესიო კალენდარი

3 მაისი — აღდგომიდან მე-3, მენელსაცხებლე დედათა კვირა.
— ხსენება კეთილმორწმუნე ქართველთა მეფის თამარისა (1213 წ.) (გარდამავალი დღესასწაულია);

6 მაისი (ოთხშ.) — ხსენება წმიდისა დიდებულისა, დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველთმოქმედისა გიორგისა (303 წ.);

8 მაისი (პარ.) — ხსენება წმ. მოციქულისა და მახარებელისა მარკოზისა (63 წ.);

10 მაისი — აღდგომიდან მე-4, განრღვეულის კვირა;

12 მაისი (სამშ.) — ხსენება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოც. ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებელისა;

13 მაისი (ოთხშ.) — ერგასის განზოგება (ზატიკის პერიოდის განშვალება)
— ხსენება მოც. იაკობ ზებედესი — წმ. იოანე ღმრთისმეტყველის ძმისა (44 წ.)
— ხსენება წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვისა (1867 წ.);

14 მაისი (ხუთშ.) — ხსენება კეთილმორწმუნე ქართველთა მეფისა თამარისა (1213 წ.);

17 მაისი — აღდგომიდან მე-5, სამარიტელის კვირა;

18 მაისი (ორშ.) — ხსენება დიდმოწამე ირინესი (I-II)

20 მაისი (ოთხშ.) — ხსენება სასწაულისა პატიოსნისა ჯვრისა, რომელი გამოცხადდა ცასა შინა იერუსალიმს (351 წ.)
— ხსენება ღირ. იოანე ზედაზნელისა და ათთორმეტთა მისთა მოწაფეთა;

21 მაისი (ხუთშ.) — ხსენება წმ. მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა (98-117 წ.);

22 მაისი (პარ.) — აღმოყვანება ნაწილებისა წმ. ნიკოლოზ საკვირველთმოქმედისა მირონ-ლუკიიდან ბარში (1087 წ.)
— ხსენება წინასწარმეტყველი ესაიასი (VIII ს. ქრ. წინ);

24 მაისი — აღდგომიდან მე-6, ბრმის კვირა

28 მაისი (ხუთშ.) — (აღდგომიდან მე-40 დღე)
— ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი;

31 მაისი — აღდგომიდან მე-7, პირველი მსოფლიო კრების წმიდა მამათა კვირა;
— შვიდი მსოფლიო კრების წმიდა მამათა კვირა.

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

— რას ვიტყოდით მომეტებული სიცილის შესახებ?

— წმ. ნილოს სინელის შეგონებით მომეტებულ სიცილს უნდა ვერიდოთ, რადგან „იგი სულს აუძლურებს, ხოლო მოუძლურებელი სული ადვილად იხსნის კანონის უღელს“.

შენიშვნა: კანონში იგულისხმება ის ლოცვები და მორჩილებები, რაც მოძღვარმა განუწესა მორჩილს.

— თუ ესა თუ ის ადამიანი გვაბრკოლებს, როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?

— წმ. ტიხონ ზადონელი ასე გვმოძღვრავს:

— „ნუ უყურებთ სხვა ადამიანებს, რასაც არ უნდა სჩადიოდნენ, ან როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი. არამედ ღვთის სიტყვას მიაპყარით სმენა;

— „იფიქრეთ და მიჰბაძეთ მაცხოვრის წმიდა ცხოვრებას; იგი გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, რათა სათნო ვეყოთ მას;

— „სმენა და მზერა მოარიდეთ მავნე საგნებს, რადგანაც მათი მეშვეობით ყოველგვარი ბოროტება შემოდის ჩვენს გულში;

— „ხშირად ილოცეთ, გულშემუსრვილნი ევედრეთ ღმერთს, საცდურისაგან რომ განგარიდოთ: „მოაქციენ თვალნი ჩემნი, რათა არა იხილონ ამაოება და გზასა შენსა მაცხოვნე მე“ (ფს.118, 37).

— გვესაჭიროება თუ არა სჯულის კანონის მიხედვით ცხოვრება?

— წმ. ამბროსი ოპტინელის სწავლებით — „ქრისტიანული აზროვნების სიჯანსაღე მოითხოვს, რომ ჩვენ არა მხოლოდ ჩვენი ქცევები და საქმეები, არამედ აზრები და შეხედულებები შევუსაბამოთ სჯულის კანონს, წმ. მამათა კანონებსა და დადგენილებებს და ღვთის მცნებებს. ის, რაც ჩვენში უფლის მცნებებთან და სჯულის კანონთან შეუსაბამო აღმოჩნდება, ჩვენ უნდა შევინანოთ და დავმდაბლდეთ ღვთისა და ადამიანთა წინაშე, ხოლო საკუთარ ქცევათა გასამართლებელ ახალ კანონთა გამოგონებას თავი ვანებოთ“.

— სჯულის კანონიდან რამდენიმე საკითხს ხომ არ მიუთითებდით ერისკაცთა გულისხმისსაყოფად?

— მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების

ა) 62-ე კანონის განჩინებით:

— ... „არც მამაკაცმა შეიმოსოს დედაკაცის სამოსელი და არც დედაკაცმა — მამაკაცისთვის განკუთვნილი“.

— ასეთ შემთხვევაში ... „კლერიკოსის დამხობას ვბრძანებთ სასულიერო ხარისხიდან, ერისკაცი კი ... უზიარებლობით დაისაჯოს“.

შენიშვნა: კლერიკოსი (საეკლესიო ან სამღვდელო დასის წევრი).

ბ) მე-80 კანონის განჩინებით:

— თუ ვინმე ... ერისკაცი, რომელიც განსაკუთრებული, ან ისეთი შემაფერხებელი მიზეზის გარეშე, რომელსაც შეიძლება გამოეწვია ეკლესიაში მისი დიდი ხნით მოუსვლელობა, ... სამი შვიდეულის განმავლობაში და ზედიზედ სამ კვირა დღეს საეკლესიო შეკრებას დააკლდება, ... ეკლესიასთან ერთობიდან განიყენოს“.

წმიდა მოციქულთა

ა) მე-9 კანონის თანახმად:

„ყველა მორწმუნე, რომელიც ეკლესიაში შედის და წმინდა წერილს ისმენს, მაგრამ ბოლომდე არ ესწრება ლოცვასა და წმინდა ზიარებას, უზიარებლობით დაისაჯოს, — როგორც ეკლესიაში



უწესობის ჩამდენი“.

ბ) 69-ე კანონის თანახმად:

„ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი, იპოდიაკონი, წიგნის მკითხველი ან მგალობელი, რომელმაც აღდგომის წინ წმინდა ორმოცეული, ან ოთხშაბათი და პარასკევი არ იმარხულოს, განკვეთილ იქნეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხორციელი უძლურება ამის საშუალებას არ აძლევს. ერისკაცი კი ასეთივე ქმედებისათვის, ზიარებიდან განკანონებით დაისაჯოს“.

შენიშვნა: ერისკაცთათვის უზიარებლობით დასჯა, ანუ ეკლესიასთან ერთობიდან განყენება, გულისხმობს წმინდა ზიარებიდან განყენების გარდა, აგრეთვე, მორწმუნეებთან ერთად საეკლესიო მსახურებაში მონაწილეობის აკრძალვას. ამ სასჯელით განკანონებულს, მხოლოდ კათაკმევლებთან ერთად შეუძლია მსახურებაში მონაწილეობის მიღება, ე.ი. მორწმუნეთა ლიტურგიის დაწყებამდე.

ქვაშვეთის წმ. გიორგის
სახელობის ტაძრის
წინამძღვარი, თბილისის
სასულიერო აკადემიისა და
სემინარიის ლექტორი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

ჩვენური მუსიკის გენიო

მუსიკალურ-პოეტური საღამო

იტალიის წმიდა ეკლესიის ეკლესია

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. #37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი